## აბიტურიენტების თემის შეფასების სქემა უცხოურ ენებში
## (დავალება 10)

| *ქულა* | *როგორ პასუხობს ნაწერი მოცემულ დავალებას; არის თუ არა აზრი გადმოცემული თანმიმდევრულად.* | *როგორ არის დაცული გრამატიკულ-ლექსიკური სიზუსტე. ასევე სიზუსტე მართლწერასა და პუნქტუაციაში.* | *ქულა* |
|---|---|---|---|
| 8-7 | - ნაწერი ძალიან კარგია. იგი სრულყოფილად პასუხობს დავალებას.<br>- აზრი მკაფიოდ და გასაგებად არის გადმოცემული. გამყარებულია მაგალითებით და პირადი მოსაზრებებით.<br>- ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლა ლოგიკურია. | - გრამატიკული შეცდომების რაოდენობა 4-ს არ აღემატება. გამოყენებულია რთული წინადადებები და კონსტრუქციები.<br>- ლექსიკა მდიდარია.<br>- მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებული შეცდომები უმნიშვნელოა. | 8-7 |
| 6-5 | - ნაწერი კარგია, პასუხობს დავალებას, თუმცა ზოგ შემთხვევაში ზედმეტი ან, პირიქით, არასაკმარისი ინფორმაციაა მოცემული.<br>- აზრი ძირითადად კარგად არის გადმოცემული. ჩანს პირადი მოსაზრება და/ან მოყვანილია მაგალითი.<br>- ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლა ძირითადად ლოგიკურია, თუმცა ზოგ შემთხვევაში მკითხველს ყურადღების დაძაბვა უხდება. | - დაშვებულია 5-7 გრამატიკული შეცდომა, არასწორი სინტაქსური სტრუქტურების ჩათვლით, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ძირითადი აზრის გაგებას.<br>- ლექსიკა დავალებისა და მოთხოვნის შესატყვისია.<br>- მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებული შეცდომები ძირითადად ხელს არ უშლის აზრის გაგებას. | 6-5 |
| 4-3 | - ნაწერი საშუალო დონისაა. აზრი ძირითადად გასაგებია, თუმცა ზოგ შემთხვევაში აზრის მიყოლა ჭირს. ინფორმაცია ზოგადია, დებულებები მეორდება.<br>- წინადადებები ერთმანეთს ლოგიკურად ცუდად უკავშირდება. პირადი მოსაზრება მკაფიოდ არ ჩანს.<br>ან: ნაწერი 100 სიტყვაზე ნაკლებია, შესაბამისად შეცდომების რაოდენობა ნაკლებია. | - დაშვებულია 8-10 გრამატიკული შეცდომა. გამოყენებულია მეტისმეტად მარტივი და/ან არასწორი სინტაქსური სტრუქტურები.<br>- ლექსიკა საკმაოდ მარტივი და შეზღუდულია.<br>- მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებულ შეცდომებს სისტემური ხასიათი აქვს, რაც, ზოგ შემთხვევაში, ხელს უშლის აზრის გაგებას. | 4-3 |
| 2-1 | - ნაწერი (ძალიან) სუსტია. ინფორმაცია ზოგადი და მწირია. აზრის გაგება, უმეტეს შემთხვევაში, შეუძლებელია.<br>ან: ნაწერი 50 სიტყვაზე ნაკლებია/ დაწერილია რამდენიმე წინადადება<br>ან: ზოგადი სახის დებულებები, რომლებიც კონკრეტულ თემას არ უკავშირდება, ხშირად მეორდება. | - დაშვებულია 10-ზე მეტი გრამატიკული შეცდომა. წინადადებები სტრუქტურულად გაუმართავია.<br>- ლექსიკა ძალზე მარტივი და შეუსაბამოა.<br>- მჟღავნდება მართლწერისა და პუნქტუაციის წესების სუსტი ცოდნა. | 2-1 |
| 0 | ფურცელი ცარიელია ან დაწერილია მხოლოდ ერთი წინადადება ან ნაწერი არ პასუხობს დავალება ან მითითებულია სახელი და გვარი. | დაწერილია რამდენიმე წინადადება, საიდანაც აზრის გამოტანა შეუძლებლია. შეცდომა დაშვებულია ყოველ წინადადებაში. | 0 |